

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებით და განისაზღვრა 6478,5 ათ.ლარით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში განხორციელდა 20 ცვლილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხის ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსავლების ზოგიერთ სახეობებში წლიურ საგეგმო მაჩვენებლებზე მეტობით შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადაანაწილებით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტმა ყოველივე ამის გათვალისწინებით შეადგინა 16 929,5 ათ.ლარი. ცაგერის მუნიციპალიტეტის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 13 639,8 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 13 429,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 98.5%-ით.

მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 452,4 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 451,1 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,7%-ით, დღგ-ს გეგმა იყო 6062,7 ათ.ლარი შემოსულია 6 171,6 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 101.8% ით. გრანტის სახით მიღებულმა შემოსავალის გეგმა შეადგენდა 6817.8 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 6497.9 ათ.ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 95.3%, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 744.5 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 433.6 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 58.3 %-ით. კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 60007.7ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 5998,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 99,8%-ით. სხვა ტრანსფერების გეგმა იყო 65.6 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 100%-ით. რაც შეეხება სხვა შემოსავლებს დაგეგმილი იყო 306.9 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 309,1ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100,7% -ით. მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 5.0 ათ.ლარი, შემოსულია 1.0 ათ, ლარი, ანუ 20%. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობიდან გეგმა შესრულდა 100% ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5.0 ათ ლარი ფაქტიურად შემოსულია 9,2 ათ.ლარი მომსახურეობის გაწევიდან გეგმა იყო 23,0 ათ.ლარი შემოვიდა 33,9 ათ.ლარი ანუ 147,4%.

ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 40,0 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 12,7 ათ.ლარი ანუ გეგმის 31.8%. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 132.1 ათ. ლარი შემოსულია 147.6 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 111.7%-ით. არაფინანსური აქტივების კლებიდან აქტივების შემოსავლის გეგმა შესრულდა 100%-ით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შემოსავლები როგორც წესი ხმარდებოდეს მუნიციპალიტეტში არსებულ უამრავ ინფრასტრუქტურულ პრობლემების მოგვარებას რაც მკვეთრად გააუმჯობესებს მოსახლეობის სიცოცხლურ მდგომარეობას, შემოსავლები თითქმის გადანაწილებული არის ა(ა)იპ-ების ხელფასების სუფსიდირებაში, რასაც ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აფასებს უარყოფითად.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოს უნდა მოხმარებოდა 677.5 ათ.ლარი დაიხარჯა 670.7ათ.ლარი. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1661.0 ათ ლარი, დაიხარჯა 1601.1 ათ.ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია ექსპულატაცია უნდა დაფინანსებული 11687.4 ათ.ლარით დაფინანსდა 9920.6 ათ ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 4286.9 ათ.ლარით გარე განათების რეაბილიტაცია ექსპულატაცია დაფინანსდა 126.0 ატ ლარით, კეთილმოწყობის სამუშაოები დაფინანსდა 2755,5 ათ.ლარით წყლის სისტემის ექსპულატაციის დაფინანსდა 158 ათ .ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო სახარტადრიცხო ზედამხედველობის და ექსპულატაციის ხარჯები დაფინანსდა 395.3 ათ .ლარით, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯია 9.6 ათ.ლარი. კომუნალური მომსახურაობა დაფინანსდა 508.5 ათ.ლარით. აქედან გამომდინარე ინფრასტრუქტურას სულ ჯამში დააკლდა 1766.8 ათ ლარი .ამ თანხის სრულად ათვისება მნიშვნელოვნად მოაგვარებდა მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებს. არსებული სიტუაცია გამოწვეული არის შეუსრულებელი და დაუმთავრებელი პროექტებით, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე აისახება ცუდად. ამიტომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უარყოფითად აფასებს ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესს და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს რეკომენდაციას, იმის თაობაზე, რომ აღნიშნული არ განმეორდეს 2020 წლის ბიუჯეტში.

ყველა მხარჯველი ორგანიზაცია დაფინანსებულია თითქმის 100% თუმცა ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ დაფინანსების კუთხით პრობლემაა ზოგიერთ ა(ა)იპ-ში, აქ დასაქმებულ ადამიანებს სახელფასო დავალიანება აქვთ რამდენიმე თვის, რაც გამოწვეულია მიმდინარეობაში დასაქმებული ადამიანთა რაოდენობის ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სუფსიდიის გაცემა ა(ა) იპ-ებში დასაქმებულ ადამიანებისთვის არ მოხდა 2018 წლის 28 დეკემბრის #60 დადგენილებით განსაზღვრული ბიუჯეტით. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თვლის, რომ განხორციელდეს ა(ა) იპ-ების საქმიანობის შეფასება და სუფსიდირების ხარჯვის კონტროლი. ასევე უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და მასში არსებული საშტატო ერთეულობის ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყოფს ამ დაწესებულებების საქმიანობის პროდუქტიულობის გაზრდას და საბიუჯეტო რესურსების სწორად გამოყენებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მიზანშეწონილად თვლის, რომ მომხდარიყო სახელმწიფო აუდიტის დასკვნის რეკომენდაციების გათვალისწინება 2019 წლის საბიუჯეტო პროცესში, რაც გამოიწვევდა ხარჯების რაციონალურ და მიზნობრივ გამოყენებას.